



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია



ბრძანება:ბ112. 112250597

თარიღი:28/02/2025

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის  
მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის  
კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს  
საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

- ა) ადიგენის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;
- ბ) 2026 - 2027 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;
- გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმაბი 3-6 - ე დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ხათუნა ჩაგუნავას) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

- ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- ბ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);
- გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;
- დ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7-8 დანართის შესაბამისად.

3. საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

არსენ ბალახაშვილი

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

